KARR0129896801323

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/48 **22 / სექტემბერი / 2023 წ.**

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.06.15.254) ინდივიდუალური განაშენიანების საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის № 730/12 განცხადებით მომართა თეიმურაზ ჯაფარიძემ (პ/ნ:01017005727) შემდგომში: დაინტერესებული პირი)) და მოითხოვა გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: № 74.06.15.254) ინდივიდუალური განაშენიანების საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (მიწის ნაკვეთი ს.კ. № 74.06.15.254) განთავსებულია გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 587 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის დანართების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის უმეტესი ნაწილი განთავსებულია ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე (ლტ) და გენერალური გემის შესაბამისად განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე სასოფლო-სამოსახლო ზონით (შზ-1)-ით განვითარების დასაშვებ არეალში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ინდივიდუალური განაშენიანების საცხოვრებელი კომპლექსის განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ ბრძანების დანართი № 1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე ინდივიდუალური განაშენიანების საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი N2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

2. გაფორმებულ იქნას შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებული უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნას ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე